

## საინფორმაციო ტექსტის გაგება-გააზრება

დაკვირვებით წაკითხე ტექსტი და უპასუხე შეკითხვებს.

### ძალლი

ადამიანმა დიდი ხნის წინ მოიშინაურა ძალლი. მას შემდეგ ის ადამიანის ერთგული მეგობარია და მისთვის ბევრი სასარგებლო რამის გაკეთება შეუძლია.

ძალლი ადვილად მოსათვინიერებელი და გასაწვრთნელი ცხოველია. მას იყენებენ ნადირობისთვის, მაძებრად, დაცვისთვის და ტვირთის გადასატანად. უძველესი ფუნქცია, რომელიც ძალლს აკისრია, ესაა შინაური ცხოველების დაცვა. აქვს კარგი ყნოსვა. ცნობილია, რომ ძაღლებს დაახლოებით 40 ათასი სხვადასხვა სურნელის დამახსოვრება და გარჩევა შეუძლიათ. ამიტომაც ბევრი მათგანი უებრო მაძებარია.

ძაღლების რაოდენობა მსოფლიოში 700 მილიონიდან 1 მილიარდამდეა. ძაღლის სახეობებიც მრავალგვარია. ისინი განსხვავდებიან გარეგნობით, დანიშნულებით, ხასიათით. თუმცა ყველა მათგანი ადამიანს ემსახურება და საიმედო მეგობრობას უწევს. მაგალითად, ინგლისური კოლი ყველაზე ჭკვიან ძაღლად ითვლება. მან ეს მრავალ კონკურსში გამარჯვებით დაამტკიცა. კოლი ძალიან ცელქია და სამომხროდ დიდი სივრცე სჭირდება. ამიტომ კორპუსის ბინებში მისი ყოლა არაა სასურველი.

თანამომხმეებში თავისი ინტელექტით მეორე ადგილი უჭირავს პუდელს. ეს ერთი ციცქნა ძალლი ძალიან გონიერი, თვინიერი და მხიარული ბუნებისაა. ამიტომაც ძაღლების მოყვარულებში დიდი პოპულარობით სარგებლობს. ის კარგად ეგუება ქალაქში ცხოვრებას. მისი გასეირნება დიდ ძალას არ მოითხოვს და ბავშვსაც შეუძლია გაართვას თავი ამ ამოცანას.

როტვეილერი ძალიან საყვარელი და ერთგული ძაღლია. ის მთელ მსოფლიოშია ცნობილი. ძლიერი სხეული და ყბები აქვს. იყენებენ ტახზე სანადიროდ. მეტად გონიერია და ადვილად იწვრთნება. კარგად ეგუება ქალაქის პირობებს.

ინგლისური ჯიშის ძაღლია ბობტილი. მას ძველად საქონლის მწყემსად იყენებდნენ. უსაზღვრო სიყვარული შეუძლია და ოჯახის შესანიშნავი მეგობარია. ძაღალი ინტელექტი აქვს. დაუღლელი და ძალიან მოძრავია. ადვილად სამართავია და არაა აგრესიული. ბავშვებთან ბობტილი ნაზი და მომთმენია. არასოდეს ეპყრობა მათ უხეშად. ბავშვებს ერთგულად იცავს და სიამოვნებით ეთამაშება.

მეცხვარე ძაღლი, იგივე ნაგაზი, ბევრ ქვეყანაშია გავრცელებული. ის საუკეთესო მცველი ძაღლია მსოფლიოში. ქართული მეცხვარული ჯიშის ძაღლს კავკასიურ ნაგაზადაც მოიხსენიებენ. უძველესი დროიდან იგი ფარას მგლებისგან იცავდა და დღესაც მთიან რეგიონებში ცხვრის სამწყემსად იყენებენ. ნაგაზის ეს ჯიში თუმშა მეცხვარეებმა გაავრცელეს.

ნაგაზი ამაყი და გონიერი ძაღლია. მისი გაწვრთნა საკმაოდ რთულია. ეს დიდ შრომასა და ცოდნას მოითხოვს. ნაგაზი ერთმანეთისაგან კარგად არჩევს ოჯახის წევრებსა და უცხოს. მას ეზო და დიდი სამოდრაო არეალი სჭირდება. ნაგაზი არასოდეს მიიტანს იერიშს სუსტ არსებებზე, თუ ის მისი ტერიტორიიდან გარბის.

საქართველოში არსებობს ძაღლთსაშენი „ტაბაკონი“, სადაც გამოჰყავთ საუკეთესო ჯიშის ნაგაზები. აქ აღზრდილი ნაგაზი, სახელად ბუთქუნა, ევროპის ჩემპიონი გახდა 2010 წელს.

---

*წაკითხე შეკითხვები. შეარჩიე სწორი პასუხი და შემოხაზე შესაბამისი ასო (ა, ბ ან გ).*

**1. როგორ დამტკიცდა, რომ ინგლისური კოლი ყველაზე ჭკვიანი ძაღლია?**

- ა) ბავშვებთან ნაზი და ძალიან მომთმენია.
- ბ) მრავალ კონკურსში მიიღო მონაწილეობა და გაიმარჯვა.
- გ) წარმატებით იყენებენ ცხვრების სამწყემსად.

2. რომელი ფრაზიდან ჩანს, რომ პუდელი საყოველთაოდ ცნობილი ჯიშია?

- ა) „ადვილად მოსათვინიერებელია“.
- ბ) „მაღალი ინტელექტისაა“.
- გ) „პოპულარობით სარგებლობს“.

3. რას ნიშნავს: „მთავარი ფუნქცია“?

- ა) მთავარ დანიშნულებას.
- ბ) მთავარ თვისებას.
- გ) მთავარ სათქმელს.

4. რით გამოირჩევა როტვეილერი ტექსტში დასახელებული სხვა ძაღლებისაგან?

- ა) ის ადვილად ეგუება ქალაქის პირობებს.
- ბ) ის საკმაოდ გონიერი ცხოველია.
- გ) მას სანადიროდ იყენებენ.

5. რა გამოარჩევს ქართულ ნაგაზს სხვა ძაღლებისაგან?

- ა) იგი პატრონის ერთგული მეგობარია.
- ბ) მას სამომრად დიდი სივრცე სჭირდება.
- გ) მის გაწვრთნას საჭირო ცოდნა სჭირდება.

6. რით ჰგვანან ერთმანეთს ბობტეილი და ქართული ნაგაზი?

- ა) ორივე ადვილად სამართავი და გასაწვრთნელია.
- ბ) ორივეს სამომრად დიდი არეალი სჭირდება.
- გ) ორივე უძველესი დროიდან შინაურ ცხოველებს მწყემსავდა.